



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № -- 79

“ 21 ” ნოემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, №1; №3; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.014.042; №01.14.16.014.451; №01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 20 ნოემბრის №25.1965.2210 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, №1; №3; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.16.014.042; №01.14.16.014.451; №01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01243402200-67 (№№01250432666-67; №01250652665-67; №012511111-67; №012514662-67; №012516582-67; №012517271-67; №01251743284-67; №012518721-67; №01252158-67; №01252612309-67; №01252834181-67; №01252943150-67; №01252952768-67; №0125324750-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. განაშენიანების რეგულირების გეგმა მტკიცდება იმ პირობით, რომ №01.14.16.014.451 საკადასტრო ერთეულის პრივატიზება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, კანონით დადგენილი წესით.

3. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ზურაბ აბაშიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 25.1965.2210
20 / ნოემბერი / 2025 წ.

ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N1; N3; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 5 დეკემბრის N01243402200-67 (NN01250432666-67; N01250652665-67; N012511111-67; N012514662-67; N012516582-67; N012517271-67; N01251743284-67; N012518721-67; N01252158-67; N01252612309-67; N01252834181-67; N01252943150-67; N01252952768-67; N0125324750-67) განცხადებით მიმართა დავით ბაღდავაძემ (პ/ნ 01010009249) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N1; N3; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N1; N3; ქალაქ თბილისი, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024). საპროექტო ფართობი: 11 695 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2) და მცირე ნაწილზე ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

საპროექტო ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება დამტკიცებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის 22 ნოემბრის N625 განკარგულებით.

საპროექტო მიწის ნაკვეთზე დაგეგმილია არსებული ნაკვეთების ერთ ნაკვეთად გაერთიანება, ორი საპროექტო შენობის განთავსებით; ერთი მრავალბინიანი



საცხოვრებელი სახლის (2 მაღლივი ბლოკით) და ერთი კომერციული შენობის მშენებლობა (A1, A2 და B ბლოკი). A1 და A2 ბლოკი შედგება 14-13 სართულისგან. მათ გააჩნია საერთო ავტოსადგომი ორ სართულზე. B ბლოკი კი შეადგენს 5 სართულს;

მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი: 11 695 კვ.მ

საპროექტო შენობების რაოდენობა - 2

მაქს.სართულიანობა - 14 სართული

საპროექტო ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)

კ1 - 0.5

კ2 - 2.5

კ3 - 0.3

სიმაღლე/ სართულიანობა:

A1-48.6მ/ 14 სართული

A2-48.6მ/ 13 სართული

B-18. 5მ/ 5 სართული

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 13 ოქტომბრის N61-01252861973 წერილის შესაბამისად, დადგენილია ვალდებულება მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული N01.14.16.014.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთა შორის სხვაობის გადახდასთან დაკავშირებით. აღნიშნული ვალდებულების შესრულება დადასტურებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის 2025 წლის 20 ნოემბრის N11-01253241933 წერილით.

რაც შეეხება N01.14.16.014.024 საკადასტრო ერთეულზე არსებული აუქციონის პირობის გაუქმებას, დადებითი პოზიცია დასტურდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 20 ნოემბრის N61-01253242024 წერილით.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2025 წლის 21 ოქტომბრის N61-01252943588 წერილის შესაბამისად, N01.14.16.014.451 საკადასტრო ერთეულის პრივატიზება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, კანონით დადგენილი წესით.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 22 ოქტომბრის N01252953343 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 22 ოქტომბრის N01252952370 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N1; N3; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის

კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01243402200-67 (NN01250432666-67; N01250652665-67; N012511111-67; N012514662-67; N012516582-67; N012517271-67; N01251743284-67; N012518721-67; N01252158-67; N01252612309-67; N01252834181-67; N01252943150-67; N01252952768-67; N0125324750-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა, N1; N3; ქალაქ თბილისში, ლისის ტბის ასასვლელი გზისა და ინტენსიფიკაციის გზის კუთხეში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.16.014.042; N01.14.16.014.451; N01.14.16.014.024) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.N01.14.16.014.451 საკადასტრო ერთეულის პრივატიზება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, კანონით დადგენილი წესით.

3.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.

5.ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01253242393
თარიღი: 20/11/2025

2025 წლის 20 ნოემბრის N 0125324750-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩა N1-სა და N3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.16.014.451; 01.14.16.014.024, 01.14.16.014.042) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებით:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია, წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასება. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე, გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2024 წლის 27 სექტემბრის N 01242714405-67 განცხადების პასუხად N 01242823494 წერილით.

ვინაიდან, წარმოდგენილი პროექტი არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01252952370
თარიღი: 22/10/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 21 ოქტომბრის №01252943150-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ.: 01.14.16.014.042, 01.14.16.014.024 და 01.14.16.014.451; არსებული ფუნქციური ზონა: საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ); თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკა: ლსზ; საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 170 ძირი ჯანსაღი (ს.კ.: 01.14.16.014.024/ 01.14.16.014.042- №15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, 55, 56, 57, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 80, 81, 82, 83, 84, 85, 86, 87, 88, 89, 90, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 104, 105, 106, 111, 112, 113, 114, 118, 119, 120, 121, 122, 123, 124, 125, 126, 127, 128, 129, 130, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 154, 155, 156, 157, 158, 159, 160, 161, 162, 163, 164, 165, 166, 167, 168, 169, 170, 229, 230, 231, 232, 233, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 242, 243, 244, 245, 246, 247, 248, 249, 250, 251, 252, 253, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260 და ს.კ.: 01.14.16.014.451 - №1-3) მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ხმობადი/ავარიული/ფაუტი/გადაბერებული/ამორტიზებული ხეებისგან გამოსავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას 17 ძირი (ს.კ.: 01.14.16.014.024/ 01.14.16.014.042 - №8, 12, 76, 79, 189, 190, 191, 192, 195, 197, 200, 201, 205, 206, 207, 215, 217) ხმობადი/ზეზმელი/ამორტიზებული/ავარიული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე

ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებით, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 8 ძირი მწვანე ნარგავის (ს.კ: 01.14.16.014.024/01.14.16.014.042 - №35, 64, 109, 110, 115, 116, 117, 185) დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 8 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებით, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 20 ძირი (ს.კ: 01.14.16.014.024/ 01.14.16.014.042- №10, 11, 34, 36, 58, 59, 60, 61, 62, 63, 78, 107, 108, 181, 183, 184, 186, 187, 188, 226) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე, გაცნობებით, რომ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (არსებული/ გადასარგავი: 7 ძირი აილანთუსი, 62 ძირი ელდარის ფიჭვი, 1 ძირი აღმოსავლური ბიოტა, 3 ძირი მინდვრის თელა, 1 ძირი თუთა და 1 ძირი პავლონია, ასევე საპროექტოდ დასარგავი: 27 ძირი იტალიური ფიჭვი, 27 ძირი ნეკერჩხალი ქორაფი, 27 ძირი ესპანური სოჭი; ჯამში: 156 ძირი მწვანე ნარგავი) სრულად ითვსება საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს ($სზ-6-კ-3 = 0,3 = 3508,5 \text{ მ}^2$).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს №25.1358.534 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე, გაცნობებით, რომ განმცხადებელმა, დეტალური პროექტირების ეტაპზე, გამწვანების დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-ნარგავების რაოდენობა შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს ექსპლიკაციის ცხრილში წარმოდგენილ ინფორმაციასთან. ამასთან, დასარგავი ფოთლოვანი ხეების (ნეკერჩხალი ქორაფი) ნერგების სიმაღლე ნაცვლად 3 მეტრისა უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი როგორც მითითებულია ექსპლიკაციის ცხრილში.

ასევე, 01.14.16.014.024 და 01.14.16.014.042 საკადასტრო ერთეულებისთვის წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნა და მოჭრა/გადარგვის ცხრილი საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, ზემოაღნიშნული დოკუმენტები, დეტალური პროექტირების ეტაპზე, წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული მიწის ნაკვეთისთვის ცალ-ცალკე.

აქვე, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ „თელასის“ კუთვნილი ელ. გადამცემი ხაზების და შპს „მაგთიკომის“ საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის გარდა ფიქსირდება სხვა ხაზობრივი ნაგებობებიც, ასევე თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა თითოეული საინჟინრო კომუნიკაცია დატანილი იქნას გამწვანების დეტალური პროექტირების ეტაპზე და

გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01253242024**
თარიღი: **20/11/2025**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში (შემდგომში - **სააგენტო**)
წარმოდგენილი, თქვენი, 2025 წლის 20 ნოემბრის №17-01253241209-61 წერილის პასუხად გაცნობებთ
შემდეგს:

სააგენტოს 2025 წლის 19 ნოემბრის №61-01253233624 კორესპონდენციით შპს „ბადენი ლისს“ (ს/ნ: 405525301) ეცნობა, რომ ვინაიდან №01.14.16.014.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი პირობებიანი აუქციონის ფორმით განიკარგა შესაბამისი პირობით („საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთზე ბაგრატოვანთა სამეფო უნივერსიტეტის მშენებლობა“), ხოლო მესაკუთრის მიერ მოთხოვნილი ცვლილება (შეზღუდვის/პირობის გაუქმება) აუქციონებს როგორც №01.14.16.014.024 საკადასტრო ერთეულის ღირებულებას, ასევე, ქონების მესაკუთრის მდგომარეობას, სააგენტო, კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი, განიხილოს პირობის გაუქმების საკითხი, იმ პირობით, რომ ქონების შემძენი განაცხადებს თანხმობას აუქციონზე შეძენილი №01.14.16.014.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების მთლიან საბაზრო ღირებულებასა (467 796 ლარი) და 2009 წლის 20 აგვისტოს მდგომარეობით, ამავე მიწის ნაკვეთის პირობის - „საპრივატიზაციო მიწის ნაკვეთზე ბაგრატოვანთა სამეფო უნივერსიტეტის მშენებლობა“ გარეშე დადგენილ ღირებულებას (420 000 ლარი) შორის სხვაობის დაანგარიშებულ თანხას, რომელიც სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მარტის №001822521 დასკვნის თანახმად, შეადგენს 268 721 (ორას სამოცდარვა ათას შვიდას ოცდაერთი) ლარს.

ამასთან, 2025 წლის 20 ნოემბრის №19/0125324727-61 წერილით შპს „ბადენი ლისს“ (ს/ნ: 405525301) წარმომადგენელმა განაცხადა თანხმობა, №01.14.16.014.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული აუქციონის პირობის გაუქმების შემთხვევაში, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 18 მარტის №001822521 დასკვნით დადგენილი ფასთა შორის სხვაობის გადახდის თაობაზე.

სააგენტოს გააჩნია დადებითი პოზიცია №01.14.16.014.024 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ზემოაღნიშნული აუქციონის პირობის გაუქმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში განვითარების თაობაზე.

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01252943588**
თარიღი: **21/10/2025**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

თქვენი 2025 წლის 16 ოქტომბრის N16-0125289648 (16.10.25 N17-0125289792-61) წერილთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის N1 და N3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს.კ 01.14.16.014.042; 01.14.16.014.024, 01.14.16.014.451) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების საკითხს, გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული მიწის ნაკვეთები (ს.კ 01.14.16.014.042; 01.14.16.014.024, 01.14.16.014.451), განვითარდეს სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარმოდგენილი საპროექტო წინადადების შესაბამისად იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე, განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცებამდე, მომართავს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაბამისი მოთხოვნით 01.14.16.014.024 საკადასტრო ერთეულზე არსებული ვალდებულების მოხსნასთან დაკავშირებით, დაფარავს ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებულ ფასთა შორის სხვაობას განკარგულ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო რაც შეეხება 01.14.16.014.451 საკადასტრო ერთეულს, პრივატიზება განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, კანონით დადგენილი წესით.

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქონების მართვის სააგენტო



წერილის ნომერი: **61-01252861973**
თარიღი: **13/10/2025**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სსიპ-ქონების მართვის სააგენტოში შემოსული თქვენი 2025 წლის 17 თებერვლის N16-01250481730 წერილის პასუხად, რომელიც ეხება ფუნქციური ზონის ცვლილებით განპირობებულ ფასთა შორის სხვაობის გადახდას, გიგზავნით სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2025 წლის 4 ივლისის N004316925 დასკვნას და გაცნობებთ რომ მუნიციპალიტეტის მიერ განკარგული N01.14.16.014.042 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე ზონის ცვლილებით განპირობებული ფასთა შორის სხვაობა შეადგენს 2 887 280 ლარს.

გაცნობებთ, რომ შესაბამისი ფასთა შორის სხვაობის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით:

მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390

დანართი: 8 (რვა) გვერდი

გიორგი კობიაშვილი

სსიპ ქონების მართვის სააგენტო-სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
საფინანსო საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 11-01253241933
თარიღი: 20/11/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და
ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

თქვენი 2025 წლის 20 ნოემბრის №61-01253241579 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ
შემოსულობების განმსაზღვრელ 300773390 (შემოსულობა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწების გაყიდვიდან) სახაზინო კოდზე შპს „ბადენი -
ლისი“ (ს/ნ:405525301) მიერ 2025 წლის 20 ნოემბერს ჩარიცხულად ფიქსირდება 2,887,280.00 (ორი
მილიონ რვაას ოთხმოცდაშვიდი ათას ორასოთხმოცი) ლარი.

დანართი: 1 ფურცელი.

გაიოზ თალაკვაძე


პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



ქ. თბილისი, ელგუჯა ამანუკელის ქუჩა, №3
ს.კ. 01.14.16.014.024; ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.

--- საკლდე არეალის საზღვარი
 --- საკლდე ტერიტორიის საზღვარი
 --- რეისტირებული მიწის ნაკვეთები
 --- უკანა ეზო
 --- მქონის განთავსების არეალი
 --- საპროექტო შენობის საფარილი კონტური
 [A1] შენობის პირობითი ნიშანი
 მიმდებარე არსებული საინჟინრო
 კომუნიკაციების ნიშნული ზონა
 წარმოსახვითი სამშენობლო საზღვარი



მკს "ბაღენი - ლისი"
ID: 405525301
დირექტორი : დავით ბაღდავაძე,
3/6 01010009249

შოთა შოთაძე


შენობის განთავსების არეალის და უკანა ეზოს
დადგენის გეგმა

[illegible]

1:1000
 3
 45

ქ. თბილისი, ელგუჯა ამბუკელის ქუჩა, №
ს.კ. 01.14.16.014.024; ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.

--- საკვლევი არეალის საზღვარი
 --- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
 --- რეგულირებული მიწის საკვლეები
 - - - - - უკანა ეზო
 - - - - - შემოსილი ანუ გეგმით დადგენილი
 A საპროექტო ნაგებობის კონტური
 - - - - - მიწისკვეთა შენობის კონტური
 ■ გამწვანებული ტერიტორიები/ცაზონი
 ■ აკანკაწანი ტყე
 ■ ტროტუარი
 ■ საინჟინერო კაპონები
 ■ წარმოსახვითი საპროექტო საზღვარი



შპს "ბადენი - ლისი"
ID: 405525301
დირექტორი : ლევით ბაღდაძე,
3/6 01010009249

பெருமை தருகிறது

დადგენილი ფუნქციური ზონები და გამოყენების
სახეობების გეგმა

თავისუფალი	ავისტო
მშობლები	1:1000
საქალაქი	პრე
ფინანსები	A3
მშენებელი	47

[illegible]


პროექტის დეტალები

განაშენიანების რეგულირების გეგმა
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

ქ. თბილისი, ელგუჯა ამანაძელის ქუჩა, №3
ს.კ. 01.14.16.014.024; ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.

პირობითი აღნიშვნები

- სავალი არეალის საზღვარი
- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები
- უკანა უბი
- შენიშნული განთავსების არეალი
- A საპროექტო შენობის პირობითი ნომერი
- მიწისკვეთი მშენებლის კონტური
- გამწვანებული ტერიტორიები/გაზონი
- სამაგრი გზა
- ტროტუარი
- საფეხმავლო კავშირები
- წარმოსახვითი სამეზობლო საზღვარი



დამკვეთი

შპს "ბადენი - ლისი"
ID: 405525301
ღირებულება : დავით ბაღდავაძე,
კ/ნ 01010009249

შენიშვნები

პროექტი შედგენილია
შოთა ფიფია

მიწის ნაკვეთის კ. 42 და კ.3 დადგენის გეგმა

საქონლის ტერიტორიული განყოფილების რეგულაცია											
ნაკვეთის პროექტი ნომერი	ფართობი მ ²	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება	დანიშნულება
1	1.1000	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6	საპროექტო ნომერი 6

აგვისტო
1:1000
მრგ
A3
48

ქ. თბილისი, უფუხა ამაშუკლის ქუჩა, №
ს.კ. 01.14.16.014.024; ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.

[illegible]

ბასოლუტური ნიშნულები დაუსტდება არქიტექტურული პროექტის სტადიაზე.

შპს "ბაღენი - ლიხი"
ID: 405525301
ღირეჭორი : ღავით ბაღღავაძე,
3/6 01010009249



უნივერსიტეტი

შოთა შოთაძე

გვერდის დასახელება

მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა
ქრილი 1-1

დავითი	აგვისტო
მამისებრი	1:1500
საქალაქი	პრეზ
ფორმული	A3
მედიკალი	51



განმუხიანების რეგულირების გეგმა
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

ქ. თბილისი, უღმუჯა ამანუელის ქუჩა, N3
ს.კ. 01.14.16.014.024; ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.

პრობოთო აღნიშვნები

- საცდელი არეალის საზღვარი
- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები
- უკანა ეზო
- რეგულირების წითელი ხაზი
- მუნიციპალიტეტის საზღვარი
- საპროექტო მუნიციპალიტეტის საზღვარი
- მიწისკვეთი მუნიციპალიტეტის საზღვარი
- გამწვანებული ტერიტორიები/გაზონი
- სამაგნიტო გზა
- ტროტუარი
- საფეხმავლო კავშირები
- კომერციული
- ავტოსადგომი

•გეგმვა:

ამპოლტური ნიშნულზე დაზუსტდება არქიტექტურული
პროექტის სტადიაზე.

დაამუშავა



მპს "ბაღნი - ლისი"
ID: 405525301
დირექტორი : დავით ბაღვაძე,
პ/მ 01010009249

შემსრულებელი

ქრისტინე
მთა ფიფია
გვერდის დასახელება

მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა
ჭრილი 2-2

თარიღი	აგვისტო
მ.კ.მ.ტ.მ.	1:1500
შუალედური	მშ
ფურცლები	A3
გვერდი	52



სართული	სართული	სართული	სართული	სართული	სართული
სართული 12	სართული 11	სართული 10	სართული 9	სართული 8	სართული 7
სართული 6	სართული 5	სართული 4	სართული 3	სართული 2	სართული 1
სართული 12	სართული 11	სართული 10	სართული 9	სართული 8	სართული 7
სართული 6	სართული 5	სართული 4	სართული 3	სართული 2	სართული 1

განაშენების რეგულირების გეგმა
მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი

ქ. თბილისი, ელგუჯა ამბუკელის ქუჩა, N3
ს.კ. 01.14.16.014.024, ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.


პირობითი აღნიშვნები

- რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები
- საპროექტო ტერიტორიის საზღვარი
- უკანა ეზო
- რეგულირების წითელი ზაზი
- შენობის განთავსების არეალი
- საპროექტო შენობის პირიბითი ნომერი
- მიწისუფლობის მფლობელის კონტური
- გამგეობის ტერიტორიები/გაზონი
- სამანქანო გზა
- ტროტუარი
- საფეხმავლო კავშირები



საპროექტო ტერიტორია

მოთიჯნავე მიწის ნაკვეთზე (01.14.16.014.024) მშენებარე
საცხოვრებელი კომპლექსი (AR1957881)



ელგუჯა ამბუკელის ქუჩა

დამკვეთი: შპს "ბალენი - ლისი"
ID: 405525301
ლორეტი: რაჭო ბაღვაძე,
3/6 01010009249

შენიშვნები: შოთა ფიფია

გვერდის დასახელება


განმლა ელგუჯა ამბუკელის ქუჩის მხრიდან
(სინთეზური რუკა)

აგვისტო
1:1250
მრგ
A3
54

ქ. თბილისი, ჯგუფი ამაშუკელის ქუჩა, №3
ს.კ. 01.14.16.014.024; ს.კ. 01.14.16.014.042;
ს.კ. 01.14.16.014.451.

პირთბითი აღნიშვნები

- საცდელი არეალის საზღვარი
--- საჩოქებო ტერიტორიის საზღვარი
--- რეკონსტრუქციის მიხედვით დაკავშირებული უკანა კედელი
--- უკანა კედელი
--- რეკონსტრუქციის წითელი ზედი
--- შენობის განთავსების არეალი
--- საცდელი რეკონსტრუქციის ზონა
--- სამშენებლო მუხლზედ ტერიტორიის
--- - მოცუფა მიმდებარე არსებულ
--- ზაზიზივი ნაკვეთებს, მათი დაცვის
--- ბუფერული და უკანა კედლის
--- სამშენებლო მუხლზედ ტერიტორიის
--- - მოცუფა საჩოქებო საეკონომიკო
--- ზონის
--- საჩოქებო მიწიკვეფა და მიწისუბლა
--- კონტინერული საშენობლო საზღვარი
--- წარმოსახვითი საშენობლო საზღვარი



050657900

შპს "ბაღენი - ლიხი"
ID: 405525301
დირექტორი : ღავით ბაღდავაძე,
3/6 01010009249

შეშენებული

[illegible]

მიწის ნაკვეთის დეტალური რეგლამენტი

თარღი	აგოსტო
მარტო	1:1000
თებერვალი	პრ
იანვარი	A3
დეკემბერი	57

საქართველოში უმცირესობების მდებარეობის რუკა

[illegible]